

სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და  
კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

ინფექციური დაავადებისათვის მზადყოფნისა და  
რეაგირების გეგმა

## შინაარსი

თავი I - ზოგადი ინფორმაცია.....	3
მიზნობრიობა.....	3
თავი II - რისკების შეფასება.....	3
კონტროლის მექანიზმების იერარქია.....	<b>Error! Bookmark not defined.</b>
თავი III - კონტროლის მექანიზმები.....	3
საფრთხის იზოლირება - საინჟინრო კონტროლის ღონისძიებები.....	<b>Error! Bookmark not defined.</b>
პროცედურები - ადმინისტრაციული კონტროლის ღონისძიებები.....	6
ინდივიდუალური დაცვის საშუალებები.....	7

## თავი I - ზოგადი ინფორმაცია

### მიზნობრიობა

სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტმა შეიმუშავა ინფექციური დაავადებებისათვის მზადყოფნისა და რეაგირების საგანგებო გეგმა, რომლის მთავარი მიზანია მსოფლიო პანდემიის პირობებში „COVID-19“-სგან დაცვის ღონისძიებების გაწერა და მათი ეფექტური განხორციელება. აღნიშნული გეგმა სრულად ითვალისწინებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მითითებებს, საქართველოს მთავრობისა და ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების, როგორცაა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია (WHO) რეკომენდაციებს.

### თავი II - რისკების შეფასება

აღნიშნული გეგმის გაწერამდე შეფასდა ზოგადი და ლოკალური სპეციფიკური რისკები. მიღებული შედეგები შედარდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ შემუშავებულ ახალი კორონავირუსით (SARAS, SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან „COVID-19“-თან დაკავშირებულ ზოგად რეკომენდაციებს და დადგინდა, რომ სსიპ შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული სამუშაოები გადის „COVID-19“-ის მიმართ თანამშრომელთა ინფიცირების საშუალო რისკის კატეგორიაში:

ინფიცირების საშუალო რისკის სამუშაო ადგილები მოიცავს ისეთ სამუშაო ადგილებს, სადაც თანამშრომლებს მოეთხოვებათ ხშირი ან/და მჭიდრო კონტაქტის ქონა (2 მეტრზე ნაკლები)

აღნიშნული რისკის დონის გათვალისწინებით უნივერსიტეტი შეიმუშავებს გეგმაში გაწერილ კონტროლის მექანიზმებს და ეცდება რისკების პრევენციას ან მიტიგაციას, რისკების შეფასების შემდეგი ეტაპი: კონტროლის მექანიზმების შემუშავება წარმართა საერთაშორისოდ აპრობირებული და შრომის ინსპექციის დეპარტამენტის მიერ რეკომენდირებული კონტროლის მექანიზმების იერარქიის მიხედვით:

### თავი III - კონტროლის მექანიზმები

1. ვირუსის გავრცელების რისკ ჯგუფის წარმომადგენელი პირების ფიზიკური იზოლირება დანარჩენი თანამშრომლებისაგან

ამ რისკ ჯგუფში შედის ყველა დასაქმებული და ვიზიტორი, თუ:

- მათ დატოვებს ვირუსის გავრცელების ქვეყანა ბოლო 14 დღის განმავლობაში;

- ბოლო 14 დღის განმავლობაში მჭიდრო კონტაქტში იმყოფებოდნენ კორონავირუსის მატარებელ პირთან/პირებთან ან/და საექვო პაციენტთან კონტაქტის შემთხვევაში;
- აღნიშნებათ რესპირატორული ინფექციის დამახასიათებელი სიმპტომები (ხველა, ტემპერატურა, ცემინება, სუნთქვის გაძნელება, საექვო სისუსტე და ა.შ.);
- მიეკუთვნებიან COVID-19-ით დაინფიცირებისა და გართულებების მაღალი რისკის მქონებს: 70 წელს გადაცილებული, აგრეთვე ქრონიკული დაავადებების (გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, დიაბეტი, ბრონქული ასთმა, ონკოლოგიური დაავადებები და სასუნთქი ორგანოების სხვა დაავადებები) მქონე პირები.

ინფორმაცია -საგანგებო ინსტრუქტაჟის ფარგლებში ზეპირსიტყვიერად/წერილობით გაუზიარდება უნივერსიტეტის ყველა სამსახურის ხელმძღვანელს და მათ თანამშრომლებს. **(იხ. დანართი პერსონალის ნორმატიულ დოკუმენტებთან გაცნობის ფურცელი).**

უნივერსიტეტის პროფესორ- მასწავლებლებს და სტუდენტებს, შესაბამისი მიმართულების ხელმძღვანელები გააცნობენ სამოქმედო გეგმას, რომელიც შეეხება სასწავლო და საგამოცდო პროცესის წარმართვის საკითხებს **(იხ. დანართი სასწავლო პროცესის წარმართვის წესი; სასწავლო პროცესის წარმართვის პროტოკოლი და საუნივერსიტეტო ყველა მიმართულებების კონცეფციები)**

დაცვის პერსონალს მიეცემა მკაცრი ინსტრუქცია, რომ უნივერსიტეტის ტერიტორიაზე შემოსული ყველა პირის შესახებ ინფორმაცია შეიტანოს აღრიცხვის ჟურნალში. **(იხ. დანართი ვიზიტორთა ყოველდღიური შემოწმება)** მიმდინარე სასწავლო სემესტრის სასწავლო პრაქტიკულ და საგამოცდო პერიოდში (2020 წლის 11 ივნისიდან შემოქმედებითი ტურების დასრულებამდე) ზემოთ აღნიშნული კითხვარის წარმოებაში დაცვის სამსახურს დაეხმარება უნივერსიტეტის ექიმი ნინო წიკლაური I კორპუსში, ხოლო II კორპუსში ექთან ნათია შარვაძე.

სამეურნეო განყოფილება შეასრულებს ყველა იმ სანიტარულ სამუშაოებს რაც გათვალისწინებულია ვირუსის პრევენციისთვის. **(იხ. დანართი სამეურნეო განყოფილების პროტოკოლი; სანიტარული შესვენებისა და ობიექტის დეზინფექციის აღრიცხვის ჟურნალი)**

## **2. ვირუსის გავრცელების რისკ ჯგუფის წარმომადგენელი პირის აღმოჩენის შემთხვევაში სპეციალური იზოლირებული ოთახის/სივრცის გამოყოფა**

კითხვარის შევსების შედეგად ან დასაქმებულის მიერ სიმპტომების დაფიქსირების, ან ამ გეგმით გათვალისწინებული სავალდებულო მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში გამოვლენილი პირები გადაყვანილი იქნებიან სპეციალურად გამოყოფილ ოთახში.

ამ პირის თანმხლები დაცვის პერსონალი სრულად იქნება აღჭურვილი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით (რესპირატორი/პირბადე, ხელთათმანები) და რისკ ჯგუფის წარმომადგენელ პირთან დაიცავს მინიმუმ 2 მეტრიან დისტანციას.

პირის განთავსების ოთახში შესასვლელზე დაიკიდება სპეციალური ნიშანი - „**უცხო პირთა შესვლა აკრძალულია**“.

იდენტიფიცირებული პირის შესახებ ინფორმაციას დაცვის სამსახური ატყობინებს საგანგებო სიტუაციების სამსახურის ცხელ ხაზს 112.

### **ტემპერატურის გაზომვა დისტანციურად**

უნივერსიტეტის ტერიტორიაზე შემომსვლელ ყველა პირს დისტანციური თერმომეტრის მეშვეობით გაეზომება ტემპერატურა. უნივერსიტეტის ტერიტორიაზე დაიშვება 37 გრადუსამდე ტემპერატურის მქონე ადამიანი.

### **სამუშაო და სასწავლო სივრცის სრული რეგულარული დეზინფექცია**

სასწავლო პროცესის დროს გარკვეული რეგულარულობით (მინიმუმ 10 დღეში ერთხელ სრულად ) ჩატარდება უნივერსიტეტის მთლიანი სივრცის (სამუშაო და სასწავლო) სრულად დეზინფექცია.

### **3. სამუშაო სივრცის მოკლე პერიოდებით მუდმივი ვენტილაცია**

უნივერსიტეტში არსებული გათბობა გაგრილების სისტემა გაგრილების მიზნით ჩაერთვება სანიტარული შესვენების დროს / ანდა ღამის საათებში. უნივერსიტეტის შენობის თითქმის ყველა გამოყენებული სივრცე ექვემდებარება ბუნებრივ ვენტილაციას, სამეურნეო სამსახურის მეშვეობით პერმანენტულად (ყოველი დასუფთავების დროს ) მოხდება კარებების/ფანჯრების გაღება და სივრცეების განთავსება. (იხ. დანართი „სასწავლო-სააუდიტორიო პროცესის წარმართვის პროტოკოლი“)

### **4. ხელის სადეზინფექციო საშუალებების ხელმისაწვდომობა**

უნივერსიტეტის სამუშაო და სასწავლო სივრცეებში ხელმისაწვდომი იქნება ხელის სადეზინფექციო საშუალებები.

### **5. თანამშრომელთა ტრანსპორტირება**

საჭიროების შემთხვევაში გამოიყოფა ტრანსპორტი თანამშრომლების სამსახურში და უკან სახლში ტრანსპორტირებისთვის. თითოეულ მათგანს დაურიგდება შესაბამისი პირბადეები და დამცავი ხელთათმანები. ტრანსპორტს უნდა ჩაუტარდეს რეგულარული დეზინფექცია. ტრანსპორტის მძღოლი უნდა დაექვემდებაროს საგანგებო მდგომარეობის პირობებში არსებულ წესებს - თითოეულ მსუბუქ მანქანაში არაუმეტეს 3 ადამიანისა (აქედან 2 უნდა იჯდეს უკანა სავარძელზე). ტრანსპორტის ერთი ციკლის დასრულების შემდეგ მგზავრებმა და მძღოლმა უნდა გამოცვალონ ერთჯერადი ხელთათმანები და პირბადე, გამოყენებული დამცავი საშუალებები უნდა მოათავსონ შესაბამისად გამოყოფილ ურნაში, რომელიც თავდახურული იქნება.

### **6. სამედიცინო ნარჩენების მართვა**

უნივერსიტეტში განთავსდება თავდახურული ურნა, შიგ ჩაფენილი პოლიეთილენის ცელოფანი შესაბამისი მაფრთხილებელი ნიშანით „ჰიგიენური ნარჩენებისთვის“ სადაც მოხდება გამოყენებული პირბადეების და ხელთათმანების გადაყრა. ჰიგიენური ნარჩენების გატანა უნდა მოხდეს ხელთათმანებით და შემდეგ უნდა მოხდეს ხელების დეზინფექცია. (იხ. დანართი სამეუნეო სამსახურის პროტოკოლი)

## **7. უნივერსიტეტის ცალკე სივრცეები: სასწავლო თეატრი**

თეატრის შესასვლელში დამატებით განთავსდება დეზობარიერი და სადეზინფექციო ხსნარის დისპენსერი.

## **პროცედურები - ადმინისტრაციული კონტროლის ღონისძიებები**

### **1. დაუყოვნებლივ შემუშავდეს ინფექციური დაავადებებისათვის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმა.**

გეგმა უნდა გადაეგზავნოს უნივერსიტეტის ყველა სამსახურის ხელმძღვანელს. გეგმაში გაწერილი მოთხოვნები და რეკომენდაციები ხელმძღვანელებმა უნდა გააცნონ ყველა მათ ქვეშ დაქვემდებარებულ თანამშრომელს, ინსტრუქტაჟის სახით.

### **2. განახლდეს სამუშაო პრაქტიკა და სპეციფიკა, რომელიც მინიმუმამდე დაიყვანს თანამშრომელთა თავშეყრასა და მჭიდრო კონტაქტს.**

გადაიხედოს თანამშრომელთა სამუშაო სივრცეების არსებული განლაგება.

უზრუნველყოფილი იქნას თანამშრომლების სამუშაო ადგილებს შორის მინიმუმ 2-მეტრიანი დისტანცია.

აიკრძალოს თავშეყრის ადგილები. 3 კაცზე მეტი ადმიანის ერთდროულად თავშეყრა. აღნიშნული მოთხოვნა გაკონტროლდეს შესაბამისი პირის მიერ.

### **3. შემუშავდეს არსებული საგანგებო სიტუაციისას თანამშრომელთა ქცევის სავალდებულო წესები.**

თანამშრომლებს ქცევის სავალდებულო წესების შესახებ ინფორმაციას მიაწვდის უშუალო ხელმძღვანელი. წესებს გაეცნობა უკლებლივ ყველა დასაქმებული და მიიღებს შესაბამის ინსტრუქტაჟს. წესების დაცვაზე კონტროლი დაევალება დაცვის სამსახურს.

### **4. შემუშავდეს მცირე ინსტრუქტაჟი, რომელიც ჩაუტარდება ყველა დასაქმებულს.**

გეგმაში გაწერილი მოთხოვნების, ასევე საერთაშორისო და სახელმწიფო რეკომენდაციების გათვალისწინებებით შემუშავებული ინსტრუქტაჟის თემატიკა. უზრუნველყოფილი იქნას აღნიშნულ თემატიკაზე ყველა თანამშრომლისათვის ინსტრუქტაჟის ჩატარება. (იხ. დანართი

## 5. მთელს სამუშაო ტერიტორიაზე/სივრცეებში სავალდებულო და საინფორმაციო ნიშნები.

სამუშაო სივრცეში (დერეფნები, კარები, შესასვლელი და ა.შ.) განთავსდეს სავალდებულო/საინფორმაციო/მაფრთხილებელი ნიშნები, რომლებიც შეახსენებენ დასაქმებულებს შემდეგ საკითხებს: პირადი ჰიგიენის დაცვა, ხელების ხშირი დაბანა, დეზინფექცია, პირბადისა და ხელთათმანების გამოყენების აუცილებლობა, დისტანცირება მინიმუმ 2მ, დასაქმებულებს შორის ფიზიკური კონტაქტის აკრძალვა (ხელის ჩამორთმევა, გადაკოცნა), კორონა ვირუსთან დაკავშირებული საინფორმაციო დაფები, სადეზინფექციო სითხეების გამოყენების წესი, დეზობარიერზე გავლის ვალდებულება და ასევე საკონტაქტო ინფორმაცია ვის უნდა დაუკავშირდენენ სიმპტომების აღმოჩენის შემთხვევაში.

## ინდივიდუალური დაცვის საშუალებები

### 1. სავალდებულო ინდივიდუალური დაცვის საშუალებების მომარაგება.

მომარაგებული იქნება საჭირო რაოდენობის ინდივიდუალური დაცვის საშუალებები - პირბადეების, ერთჯერადი ხელთათმანები, ხელის სადეზინფექციო ხნარები (საჭიროებიდან გამომდინარე ფარები). აღნიშნული საშუალებები საჭიროებისამებრ გასცემს დაცვის სამსახური შესაბამის დოკუმენტში აღრიცხვით (იხ. დანართი პირბადეების, ხელთათმანების და ფარების გაცემა)

უნივერსიტეტის დახურულ სივრცეში (კორიდორი, ფოიე და ა.შ) პირბადეების ტარება სავალდებულოა, თუმცა გარკვეული სასწავლო აქტივობის დროს პედაგოგი განსაზღვრავს ვურუსისგან თავდაცვის საშუალებას (დისტანცია, ნიღაბი, ფარი და ა.შ)

ინსტრუქტაჟის ჩატარებისას აუცილებელია ყველა თანამშრომელი გაეცნოს აღნიშნულ ინდივიდუალური დაცვის საშუალებების მართებულად გამოყენების წესებს, ასევე მათი მართებულად მოცილების წესებს.

## სსიპ შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

ინფექციური დაავადებისათვის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმა

თანამშრომელთა სამუშაოზე გამოცხადების შემთხვევაში სსიპ შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის უფლებამოსილ პირებს დაევალოთ:

სამუშოს დაწყების წინ გააკონტროლოს პერსონალის ჯანმრთელობის მდგომარეობა ტემპერატურის გაზომვით ან გამოკითხვით. ამ მიზნით, მონაცემები აღრიცხოს ჟურნალში, სადაც დაფიქსირებული იქნება პასუხები შემდეგ კითხვებზე:

1. ტემპერატურული რეაქცია;
2. შემდგარი კონტაქტი ინფიცირებულ ან/და საექვო პირთან;
3. რესპირატორული სიმპტომების არსებობა, ასევე გემოს და სუნის აღქმის დაკარგვა.

ჟურნალის წარმოება შესაძლებელია ელექტრონულად.

№	შემოწმების დღე/დრო	დასაქმებულის შესახებ მონაცემები	ტემპერატურა	კონტაქტი (დიახ, არა)	რესპირატორული სიმპტომები (დიახ, არა)	შენიშვნა	ხელმოწერა
1							
2							

თანამშრომელს, რომელსაც აღენიშნება COVID-19-ის ნიშნები ან/და სიმპტომები უნდა იქნეს გაშვებული სახლში და მიეცეს რეკომენდაცია ექიმთან მისვლის.



საჭიროების შემთხვევაში, დასაქმებული უზრუნველყოფს, სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე, აუცილებელი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით (ხელთათმანები, პირბადე, ფარი); დამსაქმებლის ვალდებულებები:

- უზრუნველყოს ოფისებში ავეჯის ისეთი განლაგებას, რომ მოსაუბრეებს შორის დაცული იქნება 2მ დისტანცია;
- ადმინისტრაციული შენობების შესასვლელთან განათავსოს დეზობარიერები, შესაბამისი სავალდებულო ნიშნის მითითებით;
- სამუშაო ადგილზე განათავსოს ზედაპირების სადეზინფექციო საშუალებები და მათი სწორად მოხმარების წესები;
- უზრუნველყოს სამუშაო ადგილზე ხელის პერიოდული დეზინფექციისათვის საჭირო სულ მცირე 70% ალკოჰოლის შემცველი ხელის დასამუშავებელი ხნარის განთავსება (რომელსაც ექნება შესაბამისი ეტიკეტი);
- მიაწოდოს ინფორმაცია დასაქმებულებს ინდივიდუალური დაცვისა და ჰიგიენური საშუალებების სწორად გამოყენებასა და შემდგომში მათ შენახვა/მოცილებაზე;
- უზრუნველყოს მობილური/ქალაქის ტელეფონის გამოყენების შემთხვევაში მისი პერიოდული დამუშავება შესაბამისი წესით;
- უზრუნველყოს ხშირად შეხებადი ზედაპირებისა (კლავიატურის ღილაკების, კარების სახელურების, ჩამრთველ/გამომრთველი ღილაკები) დამუშავება რამდენჯერმე დღეში შესაბამისი კონცენტრაციის სადეზინფექციო ხსნარით;
- უზრუნველყოს სამუშაო ინვენტარისა და მოწყობილობების დამუშავება რამდენჯერმე დღეში შესაბამისი კონცენტრაციის სადეზინფექციო ხსნარით;
- უზრუნველყოს დასაქმებულთა/ვიზიტორთა მიერ გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცებისა თუ სხვა გამოყენებული ჰიგიენური ნარჩენებისათვის დახურული კონტეინერების განთავსება, რომელშიც ჩაფენილი იქნება ერთჯერადი პლასტიკური პაკეტი. ნარჩენების პარკის ამოღება და განკარგვა მოხდეს ერთჯერადი ხელთათმანის გამოყენებით. უზრუნველყოს ასეთი ნარჩენების დროული გატანა სამეურნეო სამსახურის მიერ.

დასაქმებულთა ვალდებულებები:

ხელის ჰიგიენის რეგულარულად და საფუძვლიანად შესრულება წარმოადგენს უმეტესი ვირუსისგან თავის დაცვის საუკეთესო საშუალებას.

**შესაბამისად, აუცილებელია სამუშაო ადგილზე განხორციელოთ შემდეგი ღონისძიებები:**

- დაიცავით ჰიგიენის წესები თქვენს სამუშაო ადგილზე;
- სამუშაო პროცესი განხორციელეთ დამსაქმებლის მიერ განსაზღვრული საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმის შესაბამისად;
- მისაღმებისას არ ჩამოართვათ ხელი ერთმანეთს და მოერიდეთ სხვებთან კონტაქტს;
- მოერიდეთ თავშეყრას, დაიცავით რეკომენდაცია უსაფრთხო დისტანციის დაცვით (არანაკლებ 2მ);
- სამუშაოების შესრულებისას გამოიყენეთ სრულად ის ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, რომელსაც გაწვდით დამსაქმებელი;
- სამუშაოს დაწყებისა და დამთავრებისას სადეზინფექციო საშუალებებით დაასუფთავეთ სამუშაო ადგილები და ხელსაწყოები, რომელსაც იყენებთ სამუშაო პროცესის მიმდინარეობისას;
- ხელის ჰიგიენა ჩაიტარეთ დამატებით აუცილებლად:
  1. საკვების მიღებამდე და მიღების შემდეგ;
  2. დახველების ან დაცემინების შემდეგ;
- იმ შემთხვევაში თუ ვერ ახერხებთ ხელების დაბანას, გამოიყენეთ სპირტის შემცველი ხელის საწმენდი საშუალებები. გახსოვდეთ, რომ ხელის დაბანა საპნითა და წყლით არის უპირატესი;
- დახველებისა და დაცემინების დროს მიიფარეთ სუფთა ხელსახოცი ან იდაყვი. გამოიყენებული ერთჯერადი ხელსახოცი კი გადაადგდით თავდახურულ ურნაში;
- მოერიდეთ ხელებით თვალებზე, ცხვირზე და პირზე შეხებას. მუშაობის პერიოდში მჭიდროდ დაიმაგრეთ თმა, რათა მაქსიმალურად შეიზღუდოს თმისა და სახის შეხება;
- გახსოვდეთ, რომ არ არის სასურველი ლითონის საყურეების, ბეჭდების და თმის ჟელეს გამოყენება.

**ინფექციის პრევენციის ძირითადი ღონისძიებების განხორციელებისთვის მზადება**

**სსიპ შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი-ში**

მოხდეს ჰიგიენისა და ინფექციის კონტროლის სათანადო პრაქტიკის განხორციელება, მათ შორის:

- ხელების ხშირი და გულდასმით დაბანის ხელშეწყობა;
- ხელის დასაბანი ადგილის გამოყოფა თანამშრომლებისა და მესამე პირებისათვის;
- ხელის დაბანის შეუძლებლობის შემთხვევაში, გამოყენებული უნდა იქნას სულ მცირე 70% ალკოჰოლის შემცველი ხელის გამწმენდი სითხე;
- თანამშრომლები დარჩნენ სახლში ავად ყოფნის შემთხვევაში.

### როდის უნდა მივიტანოთ ექვი COVID-19-ის არსებობაზე

„COVID-19-ზე საექვო შემთხვევა“ - შემთხვევები, როცა დაავადების მიმდინარეობის გამო ექვი უნდა მივიტანოთ COVID-19-ის არსებობაზე (კლინიკური ექვი). კლინიკური ექვის მიტანა COVID-19-ის არსებობაზე უპირველესად აუცილებელია იმ თანამშრომლებზე, რომელთაც აღენიშნებათ:

- ახლად აღმოცენებული ცხელება ან/და სასუნთქი სისტემის (რესპირატორული) სიმპტომები (მაგ.: ხველა, ქოშინი);
- ქვედა სასუნთქი გზების მძიმე დაავადება, რომლის მიზეზი გაურკვეველია.

COVID-19-ის არსებობის ალბათობა იზრდება, თუ ზემოთ აღწერილი თანამშრომლები:

- ცხოვრობდნენ ან მოგზაურობდნენ გასული 14 დღის განმავლობაში იმ ადგილებში (ქვეყანა, რეგიონი, რაიონი, დასახლებული პუნქტი), სადაც ინფექციის შიდა გავრცელებაა აღწერილი;
- ჰქონდათ მჭიდრო კონტაქტი გასული 14 დღის განმავლობაში COVID-19-ის დადასტურებული ან შესაძლო შემთხვევის მქონე პირებთან.

სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლები და ასევე სტუდენტები არ უნდა გამოცხადდნენ სამუშაო ადგილზე იმ შემთხვევაში, თუ:

- მათ დატოვეს ვირუსის გავრცელების ქვეყნები ბოლო 14 დღის განმავლობაში;

- ბოლო 14 დღის განმავლობაში მჭიდრო კონტაქტი ქონდათ კორონავირუსის მატარებელ პირთან/პირებთან (მათ უნდა გაიარონ თვითიზოლაცია/კარანტინი შესაბამისად დადგენილი წესით);
- აღნიშნებით რესპირატორული ინფექციისთვის დამახასიათებელი სიმპტომები (ხველა, ტემპერატურა, ცემინება, სუნთქვის გაძნელება, საერთო სისუსტე და ა.შ.);
- მიეკუთვნებიან COVID-19-ით დაინფიცირებისა და გართულებების მაღალი რისკის მქონეებს: 70 წელს გადაცილებული, აგრეთვე ქრონიკული დაავადებების (გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, დიაბეტი, ბრონქული ასთმა და სასუნთქი ორგანოების სხვა დაავადებები) მქონე პირები.

#### **დამტკიცებულია**

**სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**ადმინისტრაციის ხელმძღვანელი: რუსუდან თევზაძე**